# საქართველო

№ 6 (33) ქართული ლეგიონის ყოველ-კვირეული გაზეთი 7 თებერვალი 1943 წ.


# ადოლფ ჰიტლერის პროკლამაცია

**30 იანვარს იმპერიის მარშალმა ჰერმან გერინგმა სიტყვით მიმართა გერმანიის არმიის უმაღლეს მეთაურებს და ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წევრებს, ამ სიტყვაში მან დაასურათა ის დიდი ცვლილება და გრანდიოზული გამარჯვება, რომელიც ნაციონალ-სოციალისტურმა პარტიამ მიუტანა გერმანელ ხალხს. სპორტ-პალასტში, ნაციონალ-სოციალისტური კრებების ტრადიციულ დარბაზში, სიტყვით გამოვიდა აგრეთვე პროპაგანდის მინისტრი დოქტორ გებელსი. 16 ათასიანი აუდიტორიის წინაშე დოქტორ გებელსმა გადაშალა გერმანიის არმიის გმირული ბრძოლის სურათები. ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მოღვაწეობა გერმანიის ხალხის ბედნიერი ცხოვრებისათვის. სიტყვის შემდეგ დოქტორ გებელსი კითხულობს ადოლფ ჰიტლერის მიმართვას მთელ გერმანელი ხალხისადმი.**

ათმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც იმპერიის პრეზიდენტმა, გენერალ ჰინდენბურგმა, დამაკისრა მე პასუხისმგებლობა გერმანიის ბედისა. ამით წარმატებით დამთავრდა ნაციონალ-სოციალისტური პარტიის 14 წლიანი ბრძოლა ხელისუფლებისათვის.

## ისტორიული სიყალბე

ამერიკელი პრეზიდენტის ვილსონის ცნობილმა 14 მუხლმა გერმანიის ხალხის თვალში შექმნა სასურველი ზავის ილუზია. ხალხის ფართო მასებს არ ჰქონდა ნათელი წარმოდგენა ომის მიზნებზე. ხალხი აწარმოებდა ომს თვითდაცვისათვის და ყველას გაეხარდა, როცა გაიგეს საზავო წინადადებანი. მაგრამ მას შემდეგ, რაც გერმანიის ხალხმა დაჰყარა იარაღი, იგი გახდა ისტორიული სიყალბის მსხვერპლი.

**ისტორიამ არ იცის მსგავსი მაგალითი სიტყვის გატეხვისა, ზავის ნაცვლად ურთი-ერთ შეთანხმებისა და დაზავების გარეშე იყო მოხვეული ვერსალის დიქტატი.**

## ბოლშევიზმის მზადება

მთელი ამ უუფლებობაში, განადგურებაში, დამცირებაში, რომელსაც განიცდიდა გერმანელი ხალხი 1918 წლიდან 1933 წლამდე დამნაშავე იყო არა ნაციონალ-სოციალისტური, არამედ დემოკრატიულ-მარქსისტული გერმანია. საერთაშორისო ებრაელობა მიისწრაფოდა კაპიტალისტური მეთოდებით დაენგრია ქვეყანა.რის შემდეგაც მოემზადებია ნიადაგი ბოლშევიზმისათვის. გასაგებია ის, რომ თუ 14 წლის განმავლობაში დემოკრატიისა და პარლამენტარიზმის ბატონობის დროს შესაძლო იყო გერმანიის გახრწნა. **ბოლშევიზმის ერთი წლის შედეგად საკმარისი იქნებოდა გერმანიის განადგურება.** ამგვარად გერმანიის ხალხი იდგა სრული გაჩანაგების წინ. ასეთი იყო ის მემკვიდრეობა, რომელიც მე უნდა მიმეღო 1933 წლის 30 იანვარს.

## წარმატებანი 4 წლის მანძილზე

ჩემს პირველ. მიმართვაში გერმანიის ხალხისადმი, მე,როგორც კანცლერმა განვაცხადე ჩემი გადაწყვეტილების შესახებ,რომ გავაერთიანო ხალხი მისი აღორძინებისათვის. მაგრამ პირველ ყოვლისა მე შევპირდი მომესპო უმუშევრობა და უზრუნველ მეყო გერმანელი გლეხი მიწის მხრივ.

მე ვთხოვე მაშინ გერმანელ ხალხს მოეცა ჩემთვის 4 წლის ვადა ყველა იმის ალსადგენად, რაც განადგურებული და დანგრეული იყო 14 წლის მანძილზე. ჩემი თანამშრომლების დახმარებით მე ვმუშაობდი იმისათვის, რომ აღმედგინა გერმანიის საშინაო და საგარეო სიძლიერე. ჯერ კიდევ ამ ვადის გასვლამდე უმუშევრობა სავსებით აღმოიფხვრა. **გერმანელმა გლეხმა მიიღო მიწა, გაიფურჩქნა მრეწველობა, გამოცოცხლდა ვაჭრობა და ტრანსპორტი.**

## საგარეო პოლიტიკა

გერმანიის საშინაო აყვავებამ მოგვცა საშუალება შევსდგომოდით საგარეო პოლიტიკის გადაწყვეტას. მთელი ამ ხნის განმავლობაში მე ვაყენებდი შეიარაღების გონივრულ განსაზღვრას. კაპიტალიზმისა და ბოლშევიზმის მიმდევრებს სძულდათ ახალი გერმანია მას შემდეგ, რაც იგი გახდა სამაგალითო სოციალური და სამეურნეო პრობლემების გადაჭრის საქმეში. მიუხედავად სიძულვილისა გერმანიამ გადასდგა ბრწყინვალე ნაბიჯები ვერსალის ხელშეკრულების გადასაშინჯად მშვიდობიანის გზით და თავისი სასიცოცხლო ინტერესების აღსადგენად. მას შემდეგ რაც უარყ.ოფილი იქნა ყველა ჩემი წინადადებანი შეიარაღების განსაზღვრის შესახებ, მე შევუდექი გერმანული არმიის შექმნას.

## ბოლშევიზმის მუქარა

ახლა ნაციონალ-სოციალიზმის 10 წლის თავის დღესასწაულის დროს სავსებით გასაგები გახდა, რა მოუვიდოდა გერმანიასა და ევროპას თუ 1933 წლის 30 იანვარს გერმანიის პრეზიდენტს გენერალ - ფელდმარშალ ჰინდენბურგს ძალა-უფლება არ გადაეცა ნაციონალ-სოციალიზმისათვის! ვეიმარის გერმანია ვერ შესძლებდა წინ აღსდგომოდა ბოლშევიზმს, ვინაიდან მთელი ამ ხნის განმავლობაში **ბოლშევიზმი გეგმიანად ემზადებოდა ევროპაზე თავდასასხმელად, ჰქმნიდა რა გიგანტურ სამხედრო მანქანას.** რა მოუვიდოდა გერმანელ ხალხსა და ევროპას, რომ 1941 წლის 22 ივნისს გერმანიის არმიას, არ მიეღო თავის თავზე ევროპის კონტინენტის დაცვა? შეიძლებოდა ვინმეს დაეჯერნა „გარანტიებისათვის“ და „განცხადებათათვის“ ინგლისის სახელმწიფო მოღვაწეთა მხრივ, თავი დაეხსნა ევროპას იმ ძალთა თავდასხმისაგან, რომელიც ამერიკელ კორესპონდენტთა დასტურით **ოცი წლის მანძილზე ისახავდა ერთად-ერთ მიზანს—ევროპაზე თავდასხმას. არც ერთ სახელმწიფოს, გარდა გერმანიისა, არ შეეძლო თავიდან აეცილებია ეს დაწოლა.**

ნაციონალ-სოციალიზმის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ შესაძლებელი გახდა პოლიტიკური, მორალური და მატერიალური პირობების შექმნა, ამ ომის საწარმოებლად, რომელიც წყვეტს ბრძოლის ბედს. როგორც წინად, ისე დღეს მსოფლიო დგას ალტერნატივის წინ: **ან გერმანიისა და მისი მოკავშირეთა გამარჯვება ან და აზიური ბოლშევიკური ტალღის მიერ გადარეცხვა ევროპის კონტინენტისა, რომელიც ისე გაანადგურებს ამ გზაზე ყველაფერს, როგორც ეს მოხდა რუსეთში.**

1939 წელს ინგლისისა და საფრანგეთის მიერ გერმანიის წინაალმდეგ ომის გამოცხადება ისეთ დროს დაემთხვა საბედნიეროდ, როცა ჩვენი სიძლიერე მეტად განვითარებული იყო. **მთელი ამ გიგანტური ბრძოლის დროს მკრთალად მოსჩანან დანარჩენი ისტორიული მოვლენები, ქარიშხალი, რომელიც მოქროლავს აზიის სიღრმიდან ევროპის წინაალმდეგ უნდა შევაჩეროთ, წინაალმდეგ შემთხვევაში თანამედროვე მსოფლიო დაინგრევა.**

## მსოფლიო ებრაელობის როლი

1940 წლის ივლისში, როდესაც უარყვეს ჩემი საზავო წინადადებანი, ნათელი გახდა, რომ ყველა ეს წინადადებანი მოწინაალმდეგეთა მიერ შეფასებული იყო როგორც ჩვენი სისუსტე. საერთაშორისო კაპიტალიზმის და ბოლშევიზმის კავშირი არ არის შემთხვევითი. ეს გამოწვეულია იმ სიძულვილით, რომელიც ათასი წლობით ანადგურებდა კაცობრიობას. **საერთაშორისო ებრაელობა წარმოადგენს ხალხთა და სახელმწიფოთა გახრწნის ფერმენტს და ეს დარჩება მანამ, სანამ ხალხი არ მოიკრებს ძალას იმისათვის, რომ გაინთავისუფლოს თავი ამ სენისაგან.**

ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ გამარჯვება იაფად არ დაგვიჯდება. იგი ბრძოლით უნდა მოვიპოვოთ. ამიტომ 1939 წლის 1 სექტემბერს მე განვაცხადე, რომ ვერავითარ დროს და ვერავითარ იარაღს არ შეუძლია წამოაჩოქონ გერმანელი ხალხი.

## უნდა გავიმარჯვოთ ან მოვისპოთ

ჩვენს მიერ მოპოვებულ გამარჯვებებს ისტორიაში ბადალი არა ჰყავთ. **ნაციონალ - სოციალიზმი განაგრძობს ბრძოლას მისი ფანატიკური გადაწყვეტილებით, როგორც ეს მას სჩვევია.** 1942 წლის 30 იანვარს მე განვაცხადე, რომ **გამარჯვება შეიძლება გადაიტანოს სუსტმაც, მაგრამ ბედის დარტყმას აიტანს მხოლოდ ძლიერი.** საერთაშორისო ებრაელობა დარწმუნებული იყო, რომ ჯერ კიდევ გასულ ზამთარში დამარცხდებოდა გერმანიის არმია. ბედმა სხვაგვარად გადასწყვიტა საკითხი, ებრაელობას ახლაც შეუძლია იმედი იქონიოს ჩვენს დამარცხებაზე, მაგრამ ნაციონალ - სოციალისტური იდეების ძალა და ძლიერება მათ იმედებზე უძლიერესია. გერმანელი ხალხი კიდევ უფრო შეამჭიდროებს თავის რიგებს,უფრო გაშმაგებით შეასრულებს თავის ამოცანებს და გაანადგურებს ყველა იმას,ვინც მოინდომებს გადაახვევინოს მას ამ მოვალეობათაგან. იგი იბრძოლებს მანამ, სანამ არ მიაღწევს საბოლოო გამარჯვებას.

## გმირული ბრძოლა

ვაფასებთ რა განვლილ გზას მე არ შემიძლია მხურვალე, გულიდან ამოღებული გრძნობით არ მივესალმო და მადლობა არ გადაუხადო ყველა ჩემს თანამშრომლებს და მთელ გერმანელ ხალხს. 1939 წლის 1 სექტემბრიდან ეს მადლობა ყველაზე ადრე ეკუთვნის ჩვენს ჯარისკაცებს, მარშლებს, ადმირალებს და ოფიცრებს, განსაკუთრებით კი მილიონიან უცნობ ჯარისკაცებს. გერმანიის არმიის,ფლოტისა და ავიაციის ყველა მოქმედებანი შევლენ ისტორიაში როგორც დაფნით შემკობილნი. ჩვენი ჯარისკაცების გმირული ბრძოლა ვოლგაზე უნდა იყოს ყველასათვის აღმაფრთოვანებელი, ვისაც კი უნდა ჩვენი ხალხის მომავალი, გერმანიის თავისუფლება და ევროპის დაცვა.

## პარტია—ხალხის ბელადი

ამ ბრძოლაში ნაციონალ - სოციალისტური პარტიის მოვალეობაა იყოს ხალხის ბელადი. მტერს შეუძლია ანადგუროს ჩვენი სახლები და ხალხი, მაგრამ არაოდეს არ შეუძლია გასტეხოს ჩვენი სული. ის, რაც ომის დაწყებისას არ იყო ნათელი, ახლა გასაგებია ყველასათვის. ბრძოლა, რომელიც ჩვენ ახლა ვაწარმოებთ ყველა იმათ წინაალმდეგ როგორც ეს იყო 1914 წელს, სწყვეტს გერმანელი ხალხის ყოფნა-არყოფნას.

ადოლფ ჰიტლერმა თავისი სიტყვა დაასრულა გერმანიისა და მისი მოკავშირეთადმი შემდეგი მოწოდებით: **მივიყვანოთ ბრძოლა გამანადგურებელი ბოლშევიზმის წინაალმდეგ საბოლოო გამარჯვებამდე.**



გერმანელთა ჯარის მოტო-ნაწილები იერიშზე.



ილმენის ტბის სამხრეთით

# ბირმა და ჩუნკინგი

ბირმა წარმოადგენს ბრიტანეთსა და ჩუნკინგის ჩინეთს შორის მდებარე სფეროს. დაიპყრო რა ბირმა, იაპონიამ გათიშა მტრის ძალები ორად. ჩუნკინგს ინგლის-ამერიკელთა დახმარების გარეშე არ შეუძლია აწარმოოს ომი. მართალია, საბჭოთა კავშირიდან ჩინეთში გზა გახსნილია,მაგრამ საბჭოთა რუსეთს თვით სჭირდება დახმარება სამხედრო საჭურველითა და შეიარაღებით.ინგლისი და ამერიკა მეტად დაინტერესებულნი არიან ჩუნკინგის არსებობით. რადგან იგი წამოადგენს არა მარტო მოკავშირე სახელმწიფოს, არამედ ბრმა იარაღს მათი ეკონომიური იმპერიალიზმისათვის.

იაპონიის პირველ ამოცანას შეადგენდა მოეწყვიტა ჩან-კაი-შეკი ინგლისურ საქსონურ გავლენისაგან, დაეჭირა ჩინეთის სანაპიროები. ამის შემდეგაც ინგლისმა და ამერიკამ, მართალია, შედარებით ძალიან შეზღუდული რაოდენობით, მაგრამ მაინც დაიწყეს ჩან-კაი-შეკის მომარაგება უმთავრესადსაფრანგეთის ინდო-ჩინეთით.

მას შემდეგ რაც ინდო-ჩინეთი აღმოჩნდა იაპონელთა გავლენის ქვეშ, ჩან-კაი- შეკისათვის სამხედრო საჭურველით დახმარება მიდიოდა ბირმის გზით. გარდა ამისა ბირმის ნავთის მდიდარი საბადოები ჩან-კაი-შეკს აძლევდნენ საშუალებას ადვილად მიეღო ეს ძვირფასი საწვავი მასალა.

იაპონელთა მიერ ირავადის განშტოების დაჭერა და ინგლისელთა განდევნა ბირმიდან იყო გამანადგურებელი დარტყმა არა მარტო ჩუნკინგის, არამედ ინგლისისათვისაც. მართალია, ინგლისელებმა 1941 წელს დაიწყეს ახალი გზების მშენებლობა ჩუნკინგში ბრამპურტის ხეობით ინდოეთში, მაგრამ ეს მშენებლობა ჯერ კიდევ დაუმთავრებელია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს გზა არ შეიძლება შეედაროს ბირმის გზას.

თვით რუზველტმა აღიარა, რომ ჩუნკინგის მომარაგება სწარმოებს სატრანსპორტო თვითმფრინავებით. იაპონელთა საბოლოო გამარჯვება ჩან-კაი-შეკზე მიასწავებს ინგლისისა და ამერიკისათვის აღმოსავლეთ აზიაში ბატონობის ძირითადი ბაზების დაკარგვას.

აქედან უკვე გასაგებია ბრიტანეთის იერიში ბირმაზე.ამ შეტევის მარცხი ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ბრიტანეთმა ვერ შესძლო აღმოსავლეთ ინდოეთში სასურველი ბაზა შეექმნა იერიშისათვის. ეს მარცხი აგრეთვე ადასტურებს იაპონიის ძალას, რომელმაც შესძლო სწრაფი და გადამწყვეტი იერიშებით არა მარტო აეღო ბირმა, არამედ ადვილად მოეგერიებინა და გაენადგურებინა ბრიტანეთის კონტრ-შეტევის ცდა.

## ცვლილებანი საზღვაო ფლოტში

უფროსი ადმირალი რედერი დაინიშნა ფლოტის ინსპექტორად და ადოლფ ჰიტლერის მრჩევლად საზღვაო საქმეებში. საზღვაო-სამხედრო ფლოტის მთავარსარდლად დაინიშნა ადმირალი დენიტცი, რომელსაც მიენიჭა აგრეთვე უფროსი ადმირალის სახელწოდება.

# მდგომარეობა ფრონტებზე

აღმოსავლეთის ფრონტის თავდაცვით უბნებზე გერმანიის არმია მიუხედავად მძიმე საომარი პირობებისა და ცუდი ამინდისა განაგრძობს გმირულ ბრძოლას, იგერიებს ბოლშევიკების დაწოლას. გერმანიის არმიის სათადარიგო ნაწილები ჩაებნენ ბრძოლაში, უბანი უზრუნველყოფილია.

სტალინგრადში ბოლშევიკები ყოველ მხრიდან მიუახლოვდნენ გერმანელთა თავდაცვით პოზიციებს, გადავიდნენ კონცენტრირებულ შეტევაზე.გერმანიის არმიის სამხრეთის ჯგუფი გენერალ-ფელდმარშალის პაულუსის ხელმძღვანელობით გადაჯგუფდა რა ვიწრო სივრცეზე და შინსახკომის შენობებში დიდ წინააღმდეგობას უწევდა მტერს.

ქალაქის ჩრდილო ნაწილში 11 საარმიო კორპუსმა, გენერალ-პოლკოვნიკის გეინცის მეთაურობით მოიგერია ბოლშევიკების შემოტევები. უკანასკნელ ცნობების მიხედვით ორი თვის განმავლობაში გმირული წინააღმდეგობის შემდეგ, 31 იანვარს მე-6-ე არმიის წინააღმდეგობა ძლეული იქნა ბოლშევიკების გადამაჭარბებელი ძალების მიერ. ჩრდილოეთის ჯგუფი გენერალ შტრეკკერის მეთაურობით განაგრძობს წინააღმდეგობას.

მანიჩის სამხრეთით, ველებზე ბრძოლის დროს ტყვედაა წამოყვანილი საბჭოთა მსროლელი დივიზიის შტაბი. გერმანელმა მოტორიზირებულმა ნაწილებმა გაწმინდეს ბოლშევიკებისაგან რაიონები დონისა და მანიჩს შუა.

კავკასიისა და ქვემო დონის შუა გერმანელთა სატანკო ნაწილებმა განაახლეს კონტრ-შეტევები და გაანადგურეს მოწინააღმდეგის ალყა შემორტყმული და თავის ნაწილებიდან მოწყვეტილი ჯგუფები.ერთმა სატანკო დივიზიამ წამოიყვანა ათასზე მეტი საბჭოთა ტყვე. დონეცზე წითლების ყველა იერიში და ცდა ალყა შემოერტყა გერმანელთა ნაწილებისათვის ლიკვიდირებული იქნა მტრისათვის დიდი ზარალით.

შუა დონზე ბრძოლების დროს განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს გერმანელთა მე-24 სატანკო და იტალიის ალპინისტთა კორპუსებმა. ამ ბრძოლების დროს მედგრად იბრძოდნენ აგრეთვე ადგილობრივი მოხალისეთა რაზმები.

ვორონეჟის დასავლეთით ბრძოლა გრძელდება. განადგურდა რა წითლების ყველა ცდა ალყა შემოერტყა ჩვენი ნაწილებისათვის, ბრძანების თანახმად გერმანულმა ნაწილებმა ადგილი მოინაცვლეს ფრონტის თავდაცვითი ახალ ხაზებზე, რითაც შემოკლებული იქნა ფრონტის ხაზი.

გერმანელთა საჰაერო ძალები გამანადგურებელ თავდასხმებს ახდენენ საბჭოთა ჯარების კოლონებზე და ჰაეროდრომებზე.

საბჭოთა ჯარის ნაწილები დიდი ძალებით გადმოდიოდნენ შეტევებზე ილმენის ტბასთან, მაგრამ გერმანელთა ჯარების მიერ მოგერიებული და შენარჩუნებული იქნა პოზიციები.

ლადოგის ტბასთან მოწინააღმდეგემ დაიწყო მასობრივი შეტევები ძლიერი საარტილერიო სროლითა და სატანკო ნაწილებით. ყველა ეს შემოტევა მოგერიებული იქნა გერმანელთა მიერ მტრისათვის დიდი დანაკარგით.

ტრიპოლიტანიის დასავლეთით მოწინააღმდეგემ ძლიერი საარტილერიო ცეცხლითა და სატანკო შენაერთებით დაიწყო შეტევა გერმანია-იტალიის ჯარის პოზიციების წინააღმდეგ. ყველა იერიშები მოგერიებულია მტრისათვის დიდი ზარალით. ბრძოლის ველზე მტერმა დასტოვა მრავალი დახოცილი, ავტო-მანქანა და სხვა სახის საომარი მასალა.

# მანერჰეიმის ბრძანება

28 იანვარს შესრულდა ოცი წელი მას შემდეგ რაც მარშალ მანერჰეიმმა მიიღო ფინეთის ჯარის უფროსობა,რომელიც ბოლშევიზმის წინააღმდეგ ამ გამანთავისუფლებელ ომში ღებულობს დიდს მონაწილეობას. ამასთან დაკავშირებით მანერჰეიმმა შემდეგი ბრძანება გამოსცა: „25 წელიწადი გავიდა მას შემდეგ რაც ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა დამოუკიდებლობა. გაიღო რა გმირული მსხვერპლი პირველად ფინეთმა მოიცილა წითელი სენის თავდასხმა. ამ ბრძოლაში ფინეთმა მოიპოვა უფლება დამოუკიდებლობისა. 25 წელიწადია რაც ნაციონალური მშენებლობიისათვის შემოქმედებითი მუშაობას ეწევა ჩვენი ხალხი, რომელმაც მოირჩინა ჭრილობა.

25 წელმა ჩვენ შეგვმატა ახალი ძალა. სამი წლის წინად ჩვენმა ერმა დაამტკიცა ერთსულოვნობა, როცა იგი პირისპირ შეება ვებერთელა ქვეყნის მოწოლას.

ამ მომენტში მესამეჯერ ვაწარმოებთ ბრძოლას ჩვენი არსებობისათვის და მომავლისათვის.







**მარჯვნივ:** გერმანელი ჯარისკაცები ამყარებენ კავშირს აღმოსავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე.— **შუაში:** გერმანელთა ტანკები მიდიან იერიშზე.— **მარცხნივ:** იარაღის შემოწმება ბრძოლის წინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აკაკი წერეთელი



## 1840-1915

**აკაკის გარდაცვალებიდან 28 წლის თავი**



მე-19-ე საუკუნის 60-იანი წლები ქართული აზროვნების ისტორიაში მეტად მნიშვნელოვანი პერიოდია. „თერგდალეულებიდან“ დაიწყო ჩვენი მიძინებული ცხოვრების გამოღვიძება. ქართველი ერის მოდუნებული ცხოვრება ამოქმედებას მოითხოვდა. ილია ჭავჭავაძემ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის წინ დაიჩქა „აბა სად არის ქართველი და საქართველო“ ეს დიდი თქმა იყო; იგი ზარივით გაისმა სამშობლოში და წარმოადგენდა პროგრამას მომავალი მოქმედებისათვის. იმ დროის ცხოვრების ამოძრავება მოითხოვდა დიდსენერგიის და ღრმაცოდნას,ამიტომ 60-იანი წლების ქართველი ინტელიგენციის ცხოვრება და მოღვაწეობა მეტად რთული იყო, მაშინდელი მოღვაწე პოეტიც იყო, პუბლიცისტი, ეკონომისტი, და ყველაფერი, რასაც კი ჩვენი ცხოვრება მოითხოვდა; სწორედ ამ ახალ მოძრაობას ჩაუდგა სათავეში მწერალი და პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე, რომლის დამამშვენებელი და თანამებძოლი იყო ხალხის წიაღიდან გამოსული პოეტი აკაკი წერეთელი. ილიას გარშემო პეტერბურგში დაშემდეგ საქართველოში თავს იყრიდა ყველა ის, ვისთვისაც ძვირფასი იყო ბრძოლა და მუშაობა თავის სამშობლოს კეთილდღეობისათვის. ამ პლეადაში ილია და აკაკისთან ერთად შედიოდა ნიკო ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე, გიორგი წერეთელი და სხვ. ეს ჯგუფი შეიქმნა სალიტერატურო მომუშავეთა სახით, მაგრამ მათი მოღვაწეობა იმდროინდელ საქართველოში როდი შემოიფარგლებოდა მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურულ ცხოვრებით; ამ ჯგუფში მოწინავეთა რიგებში იდგა აკაკი წერეთელი. იგი ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო, როცა დაიწყო სამწერლო მოღვაწეობა და როგორც პოეტი გვერდში ამოუდგა ილია ჭავჭავაძეს იმ ბრძოლაში, რომელსაც იგი აწარმოებდა ძველი თაობის ე.წ. „მამების“ წინააღმდეგ.

აკაკი წერეთელი თავისი დროის ნამდვილი განსახიერებაა. იგი იყო ლირიკოსი, დრამატურგი,კრიტიკოსი,საზოგადო მოღვაწე. სწორედ ასეთი ადამიანი ესჭიროდებოდა 60-იან წლების საქართველოს.

პოეტის მრწამსი და დანიშნულება აკაკიმ შემდეგნაირად გამოხატა:

„მისთვის მომცა ღმერთმა ენა,
სიმართლისთვის გავიწირო,
ჩაგრულ მოძმეს მოვეხმარო,
თუნდა ქვითაც დავიკირო;
მოძმის ვიყო შემწე ჭირში,
ვიხარო და გავახარო:
რაც კი ვნახო მასში ცუდი,
გამოვსთქვა და არ დავფარო...

რა მოტივი ამოძრავებს აკაკის პოეზიას? სამშობლოს მონობა, ხალხის ბორკილები, საქართველოს წარსული და მომავალი.

პოეტს უყვარს თავისი სამშობლო, საქართველო მისი სატრფოა, იგი ალგზნებით გვიხატავს თავის სატრფოს. „მაგრამ იცით, ჩემი სატრფო ვინ არი? ძველი ტურფა, დღეს მკვდარივით მძინარი, ფეხშიშველი, თავზე ლეჩაქ ახდილი“...

აკაკის პოეზიაში ელვასავით გაიქროლებს გოდება ალ. ჭავჭავაძის და ნ. ბარათაშვილისა:

„გამაგონე სევდის ხმა“,

შესჩივის იგი მეზურნეს, მაგრამ რომანტიზმის სული მასში მხოლოდ წუთიერი გამოკრთომაა და ეტი არაფერი. იგი მებრძოლია, მისი ჰანგის ქართველ ერს ბრძოლისაკენ მოუწოდებს:

„არა აჰყვავდეს იმედი,
გულს ვერ გამიტეხს ჭალარა,
გმირებს დაეძებს ,უყივის
ჩემი დაფი და ნაღარა“...

ხალხი იტაცებდა აკაკის ლექსებს, ისინი ხალხის გულში პოულობდნენ სამუდამო ბინას და ბევრჯერ წაიშლებოდა ზღვარი აკაკის პოეტური ნაწარმოებისა და ხალხის სიმღერას შორის, მისი „დაიგვიანეს“ პატარა კახიდან, ჩონგურს სიმები მოვმართოთ, სულიკო, ციცინათელა და მრავალი მისთანები როგორც თვალმარგალიტი ძვირფას საგანძურს წარმოადგენს ქართული პოეზიაში. აკაკი წერეთელი მიუხედავად მისი მაღალ არისტოკრატიულ წარმოშობისა ხალხს ეკუთვნის. იგი ხალხის წიაღში დაიბადა და ხალხმა აღზარდა; არც ერთი პოეტი ისეარიცნობს თავის ხალხისფსიქოლოგიას, მის სულის კვეთებას, მის ტანჯვას თუ ცხოვრებას,როგორც აკაკი წერეთელი, ამიტომ უყვარს იგი ქართველ გლეხობას.

აკაკის კალამს ეკუთვნის ნიჭიერად დაწერილი მთელი რიგი პოემებისა, როგორიცაა„ თორნიკე ერისთავი“, „ბაგრატ დიდი“, დრამატიზირებული პოემა „პატარა კახი“, რომლებშიც დიდი სიყვარულით და თბილი გრძნობით მოცემულია ქართველი ერის წარსული. უსათუოდ აღსანიშნავია და განსაკუთრებული ადგილი უნდა მიეკუთვნოს ავტობიოგრაფიული მოთხრობას „ჩემი თავგადასავალი“, ეს ჟანრი მწერლობისა ჩვენში განვითარებული არ არის და აკაკი წერეთელი ამ შემთხვევაში ითვლება ნოვატორად. აკაკის პოეტური ენა სადაა, ხალხურია და სწორედ ამაშია მისი დიდი დამსახურება. ქართველ ერს უყვარს თავისი პოეტი, არც ერთს მეფეს, არც ერთს დიდებულს არ ღირსებია ის დიდი და მეფური პატივი, რომელიც წილად ერგო აკაკი წერეთელს.მისი იუბილე—ეს იყო ნაციონალური ზეიმი ჩვენი ხალხისა. მიუხედავად რუსეთის რეჟიმის წინააღმდეგობისა მან იმოგზაურა მთელს საქართველოში, რომელიც გადაიქცა დიდ სახალხო ზეიმად. იგი უგვირგვინო მეფე იყო საქართველოში. აკაკი წერეთლის პოეზია—ეს დაუშრეტელი წყაროა ქართული პოეზიისა.

დიდია მისი დამსახურება ქართველი ერის წინაშე, ის იყო ბუკი და ნაღარა, დადღეს,როცა ქართველი ლეგიონერები იარაღით ხელში იბრძვიან გერმანელ მხედრებთან ერთად „ნესტან დარეჯანის“ გამოსახსნელად ქაჯეთის ციხიდან თვითეულ ჩვენგანს გვაალჰრთოვანებს, გვასულდგმულებს ჩვენი დიდი პოეტის ფასდაუდებელი სიტყვები:

...კავკასიის მაღალ ქედზე
მიქაჭული ამირანი,
არის მთელი საქართველო
და მტრები კი ყვავ-ყორანი,
მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა გმირი!
სიხარულით შეეცვლება
იმდენი ხნის გასაჭირი“...

ეს დროც მალე იქნება.

**ლეგ. ი. კოლხელი.**

# ამირანი

კავკასიის ქედზე იყო,
ამირანი მიჯაჭული,
ყვავ-ყორანი ეხვევოდა,
დაფლეთილი ჰქონდა გული.
ქვეყნად ცეცხლის მოტანისთვის
გულს ცეცხლი არ ჰნელდებოდა,
და რაღაცა მანქანებით
გული ისევ მთელდებოდა.
ჰქონდა ჭირში მოთმინება,
არც კვნესოდა, არც ოხრავდა.
უსამართლო ძლიერებას
მონურად თავს არ უხრიდა!..
ბოლოს მაინც გამარჯვება
დარჩა, ყველა გაიოცა
და ის ღვაწლიც მაგალითად
შვილი-შვილთა მან გადმოსცა.
კავკასიის მაღალ ქედზე
მიჯაჭული ამირანი
არის მთელი საქართველო
და მტრები-კი ყვავ-ყორანი.
მოვა დრო და თავს აიშვებს
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა გმირი...
სიხარულად შეეცვლება,
იმდენი ხნის გასაჭირი!..

**აკაკი**

„...საქართველოსა და ქართველის სიყვარულისაგან არის წარმომდგარი ის პატივისცემა, რა პატივისცემითაც დახვედრიან ჩვენს პოეტს... ამ სიყვარულის აღორძინებისათვის თითონ აკაკი წერეთელს არა ერთხელ დაუკვნესებია თავისი ტკბილი ქნარი, უმოქმედებია თავისი ნიჭიერება, თავისი მარილიანი სიტყვა, თავისი სიტურფით სავსე ქართული. საცა წავიდა ბ-ნი აკაკი, წინ დახვდა მისგან ფრთაასხმული და გაღონიერებული სიყვარული საქართველოსი და ქართველისა,წინ დახვდა გულწრფელის პატივისცემითა და მადლობით აღსავსე გულითა.“

**ი. ჭავჭავაძე**

# ნაკვესები

### ანგელოზი ცოლი

ერთმა მახინჯი ცოლის პატრონმა მეგობარს გააცნო ახალი შერთული მეუღლე და უთხრა: „მომილოცე ბედნიერებაო!.. მართალია უსახურია ჩემი ცოლი, მაგრამ მაგიერად ანგელოზიაო!“ მჯერა და მომილოცავსო—უპასუხა მეგობარმა—დარწმუნებული ვარ, მაგ ანგელოზს ისე ვერსად შეხვდება ეშმაკი, რომ არ შეშინდეს... არ დაფრთხესო!.

### ახირებული სიცილი

ერთმა კაცმა ახირებული სიცილი იცოდა; თითქო ხვიხვინებსო. ერთხელ ცხენმა წიხლი ჰკრა და წინა კბილები ჩაამტვრია. რომ მორჩა შეხვდა თავის კარგ მეგობარს და შესჩივლა: „არ ხედავ და არ გიკვირს, რა მიყო ჩემმა ცხენმაო?“ —მე ეს მიკვირს, რომ ან ამდენ ხანს რათ გითმენდა და აქამდისაც არ დაგმართა ეგ საქმე, რაც შენ იმას აჯავრებდიო—მიუგო მეგობარმა.

# ხალხის მგოსანი

ყველამ უწყის, რომ მგოსანი აკაკი ყველასათვის საყვარელი პიროვნება იყო. ქართველ მოღვაწეთა შორის პოპულარობის მხრით ბადალი არა ჰყავდა. ხალხის ასეთი გრძნობა აკაკის სრულიად დამსახურებული ჰქონდა. აკაკი იყო დიდი ბუნების პატრონი. რასაკვირველია, მას, როგორც ყოველ ადამიანს, ნაკლი და ცოდვა უნდა ჰქონოდა, მაგრამ ყოველ ღირსეულ პიროვნებაში ყოველთვის მზიური ნაწილი შეჯამების დროს ჰფარავს ჩრდილიან მხარეს.

ამ წერილში ჩვენ გვინდა მხოლოდ მგოსნის ადამიანურ მზიურობაზე ვილაპარაკოთ.

აკაკი რომ ძვირფასი გულის პატრონი იყო, კეთილი, სარწმუნოების მოყვარული, უტყუვრად იქიდან სჩანს, რომ ორი გრძნობიერი ნაწილი ხალხისა მას უდიდესი სიყვარულითა და თაყვანისცემით ეპყრობოდა.

ერთი არის ბავშვობა, მოზარდი თაობა, მეორეც—ხალხი, მშრომელი ხალხი. აკაკის განსაკუთრებულად თავს ევსტუმროს პატრონები. ფულის ნაკლებ მქონებელს აკაკის ხშირად სასტუმროებში ფულგადაუხდელად უცხოვრია და ეს იმიტომ კი არა, რომ მას არ სურვებოდეს გადახდა, არამედ თვით სასტუმროს პატრონებისაგან ეს განკარგულება იყო გაცემული მისი პიროვნების პატივსაცემად. მე მახსოვს, ასე იქცეოდნენ სასტუმროს პატრონები: თბილისში ივანე ქაჯაია და გორში მაკალათია. ეს დიდი ყურადღება იყო ხალხის შვილების მხრივ; რაც შეეხება ბავშვებს, მე მახსოვს ერთი მაგალითი, თუ როგორ ალნიშნა მგოსნის პიროვნებისადმი თაყვანისცემა ერთმა შვიდი-რვა წლის ბავშვმა. ეს ბავშვი მცხეთობას იყო წასული მამიდის ანაბარა. ბავშვს გაგონილი ჰქონდა უკვე მგოსნის ზღაპრები და საყმაწვილო ამბები. მან ერთ საზოგადოებაში თვალი მოჰკრა ტახტზე მჯდომ მგოსანს, რომელსაც გარს შემორტყმოდნენ სტუმრები და მის ტკბილ მუსაიფს მოწიწებით ყურს უგდებდნენ. ბავშვმა ეტყობა მიაპყრო მწერლის განსაკუთრებულ გარეგნობას თავისი ყურადღება, გავიდა ოთახიდან, მამიდას ფული გამოართვა, წავიდა იქვე სადგურზე, იყიდა ყურძნის აკიდო, დაბრუნდა ოთახში და მიართვა მგოსანს: „ეს ჩვენს საყვარელ აკაკისო." განცვიფრებულმა მწერალმა მიუალერსა თავზე ხელი გადაუსვა და გამოჰკითხა ვინაობა. მერე მგოსანი ყველგან ამბობდა და მგონი სწერდა კიდეც, რომ ამისთანა ჰონორარი მას არასოდეს არ მიუღია. ასეთი ამბები ხშირი იყო, როცა აკაკი შეგირდებში და მოსწავლეებში გაჩნდებოდა ხოლმე.

საკუთრად ბავშვებისათვის მისი მშვენიერი ლექსით დაწერილი იგავ-არაკები უბრალო თარგმანს კი არ წარმოადგენენ, არამედ ნასესხებ შინაარსის მიხედვით შნოიანად შეთხზულ საკუთარ ნაწარმოებს, ქართულ სულთან შეფარდებულს. ხალხისადმი სიყვარული და მსახურება თანდაყოლილი ჰქონდა აკაკის. ყველამ უწყის, რომ იგი ბავშვობისას გლეხის ოჯახში აღიზარდა. ერთად-ერთი მუდმივი წუხილი, რომელიც მას ჰქონდა—ეს იყო მისი საოჯახო საქმე. მას ჰყავდა მეუღლედ მოსკოველ დიდი ოჯახის ასული, ობლად დარჩენილი, დაჩაგრული ნათესავებისაგან და მშვენიერი გარეგნობის პატრონი.

ნივთიერად ხელმოკლე აკაკი ძალიან ცდილობდა თავისი ოჯახის მდგომა-



აკაკი 70-იან წლებში

რეობა უზრუნველეყო. მაგრამ ვერას გახდა და მეუღლემ გადასწყვიტა რუსეთში ცხოვრება. ეს გარემოება მეტად საზარალო იყო იმ მხრით, რომ ერთად-ერთი შვილი აკაკისა, რომელსაც მან ერთ დროს პატარაობისას მიუძღვნა ზღაპარი ასეთი შესავალით:

„შვილო ალექსი, მსურს გითხრა ლექსი, საკუთრად შენთვის მოვმართო ქნარი, — დამიგდე ყური"..., —იზრდებოდა საქართველოს გარეთ. თუმცა შვილს ესმოდა ქართული, მაგრამ ქართულად ლაპარაკი ეძნელებოდა. უნდა ითქვას, რომ შვილმა მისმა დასტოვა თავის სპეციალობა ინჟენერ-მექანიკოსობა და მთლად თეატრალურ ხელოვნების სამსახურს მიეცა. ამ სარბიელზე მან დიდი სახელი მოიხვეჭა როგორც ნიჭიერმა ხელმძღვანელმა. აკაკის სურვილი ჰქონდა, რომ შვილი თბილისის სახელმწიფო თეატრში როგორმე მოწყობილიყო როგორც დირექტორი, მაგრამ უცხო მთავრობამ ამაში ხელი არ შეუწყო ჩვენს მგოსანს და მის შვილს ჰქონდათ დიდი გეგმა—ქართული ოპერა დაედგათ და ეს საქმე განევითარებინათ —უფრო ადრე, ვიდრე ეს მოხდა შემდეგ. სიტყვამ მოიტანა და უნდა ვსთქვათ, რომ აკაკის შვილს ალექსის, რომელიც მოულოდნელად პარიზში გარდაიცვალა, ღრმა მოხუცებული, საქმე ჰქონდა დიდ მხატვრებთან და ამიტომ დიდი თეატრალური სადეკორაციო მოწყობილობა დარჩა, რომელიც დაუტოვა ანდერძით ქართველ ერს და ანდერძის აღმასრულებლად დანიშნა ყოფილი ქართველი მინისტრი ევგენი გეგეჭკორი.

როცა ოჯახი ეწვეოდა ხოლმე აკაკის რუსეთიდან, მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. აკაკი ეკუთვნოდა იმ შესანიშნავ პირთ, რომელთაც მოხუცებულება არ აძაბუნებს. ის შეჰხაროდა ნიჭიერ ახალგაზრდობას და რითაც კი შეიძლებოდა, ხელს უწყობდა მათ მოღვაწეობაში. ასეთი თანაგრძნობით შეხვდა თავის დროზე დაუვიწყართ ვანო მაჩაბელს, სანდრო ყაზბეგს და ბევრ სხვას. ბედნიერი ვიყავით ისინი, რომელნიც მოვესწარით ცოცხალ აკაკის, საკუთარი თვალით ვიხილეთ და საკუთარი ყურით მოვისმინეთ და სწორედ საწყენია, რომ ახლანდელი ახალგაზრდობა მოკლებულია ასეთ ბედნიერებას. ყოველ ახალ წამოწყებას აკაკი დიდის ხალისით ხვდებოდა. თუ ეს წამოწყება, რასაკვირველია, სასარგებლო იყო მისი ერისათვის.

აკაკი ელირსა იუბილეს. მას დიდი ზეიმი გადუხადა ქართველობამ, მაგრამ ყველაზე მეტი სიხარული მან იგემა, როცა რაჭა-ლეჩხუმის ხალხმა იგი მიიწვია თავისი კუთხის სანახავად. ამ ხილვამ და ხალხის უშუალო აღტყინებამ განუმტკიცა საქართველოს ეროვნული აღორძინების იმედი, დააწერინა ლამაზი პოემა „რაჭა-ლეჩხუმი", რომელშიაც სხვათა შორის ვკითხულობთ:

ხანდისხან ცეცხლი გაჰქრება
და გაცივდება კერაცა,
გგონია სახლი იღუპვის
და მისი ბედის წერაცა;—
მაგრამ რომ გაჰქექ ცივ ნაცარს
და გამოუჩხრეკ მას გულსა,
იქ ნახავ ობოლ ნაკვერჩხალს,
მიმალულ—მივიწყებულსა,
და იმ ნაკვერჩხლით ხელ-ახლა
ააგუზგუზებ კერასა,
სახლი გათბება და ბნელიც,
ნათელს ვერ აკლებს ვერასა!—
ასეა ეროვნებაცა!
ზოგჯერ ის შელახულია,
მაგრამ სიცოცხლის ნიშანი
სადღაც კი შენახულია.
მოძებნა უნდა იმ ნიშნის
და ქვა-კუთხედად დადება.
ის აკვანია წარსულის,
მყობადი დაიბადება!..
ჩვენი ხეც ეროვნობისა
დღეს ვხედავთ სჭკნება და ხმება—
გრძნობას ჰგონია, მაგრამ კი
გონება არ ეთანხმება!
ხეს რა გაახმობს, თუ მისი
ფესვები კიდევ კარგია?
და ზედაც მისი წარსული
უტყუვრად მონაქარგია.

**აკაკის თანამედროვე**

## დღეს ბნელა, ხვალ მზე იქნება...

დღე დაუბნელეს ნეტარი,
მარტოა ახლა ეული,—
შავ ძაძებშია ნესტანი
ქაჯეთში გამომწყვდეული!..
თავისუფლება წაართვეს
ქალთა ამ საოცრებასა,
მაგრამ მაინც არ ღალატობს
სიკეთის წმინდა მცნებასა!..
ამბობს: შვილები ქართლისა
დავითის ხმლის ქვეშ ზრდილიო,
შესძლებს ციხიდან დამიხსნას,
თვალებს აშოროს ჩრდილიო!..
თურმე შეყრილან უცხოეთს
და ერთ დროშის ქვეშ დგებიან
ამ ღვთიურ, წმინდა საქმეში
მათ სხვებიც მიშველებიან;
ძმად გახდომია ბერლინი,
ბრძოლის დაუკრავს ზარია
და თავის ლომი ბიჭები
აქეთკენ გაუგზავნია!..
იმედის სხივი ციმციმებს
ახლა ნესტანის თვალებში;
დღეს ბნელა, ხვალ მზე იქნება
ჩვენს წალკოტოვან მხარეში!..

**ვ ბარელი**

## ლაფდასხმული ქათამი

ერთი დარბაისელი, ძველებური იმერელი მიიწვიეს სადილად; ევროპიულად გაუმასპინძლდენ და, სხვათა შორის, ქათამი მოუტანეს, რომელსაც თეთრი საწებელი („სოუსი") ჰქონდა გადასხმული. სტუმარმა გამოარჩია კარგი ნაჭერი, გადაფხიკა დანით, გასწმინდა და ისე დაიწყო ჭამა. მასპინძელმა ჰკითხა: განა არ მოგეწონათ ეგ ქათამი? უგემური ხომ არ არისო?

რას ბრძანებო—მიუგო სტუმარმა, ქათამი ჩვენებურია და ღმერთმა კაი მოგცეს, კარგიც იყოს, მაგრამ თქვენებურად რომ ლაფი გადაგისხამთ თავზე, იმას კი გაუფუჭებიაო.

**აკაკი**

# და დადგება ნათელი

ყველა ლხინობს, იცინის, აღარავინ დარდობს,
ყველას რაღაცახარებს,-შენ რა მოგდის ვარდო!..
მთვარეც ისევ ისეა, იმდაგვარი ნაზი,-
გაფითრებულ სახეზე წერტილები აზის!
ყველგან ასე ანათებს, სადაც აღარ მივიდეს;
მთებს, ჭიუხებს, კლდეებს თუ მინდვრებსა და ბილიკებს.
ტყეც აქ მწვანით მოსილა, ყვავილები შლილობენ
ქარი არხევს ველ-მინდვრის ხავერდოვან ჭილოფ[illegible]ბს;
ტრფობის ყვავ[illegible]ლს აქაც აქვს მიმზიდველი იერი,
კაცი აქაც დასტკბები ქალთა სიმშვენიერით
მაშ, რა ნაღველს უპყრიხარ, გულს რა ნისლი გფენია?
ვარდო, რად ხარ მწუხარე, რაზედ მოგიწყენია?!.
იქნებ ძმ[illegible]ბი მოგიკლეს [illegible]ველა ფრონტზე გუ[illegible]ია
და ისინი ა[illegible]ამად დახოცილი გგონია!..
ან იქნე[illegible] მშობლებ[illegible] მომავალი გადარდებს
ვერსად [illegible]ოად ნიშნებს, კვლავ ქვეყანაზე გადარდეს;
იმედები მსხვრეულა, რითაც ერთ დროს სუნ[illegible]ქავდი
და გულიც მთლად აკაფეს ერთხელ ამოსუნთქვამდის;
ან იქნებ ის განისლებს, რომ ეს მთვარე, ეს მიწა,
ეს ბაღები, ტყეები, ქალები თუ თეთრი ცა-
არ ჰგავს შენი ქვეყნისას, არ სდის მისი სურნელი
და ნიავიც არა სჩანს, ზღვიდან რომ ქრის სულ ნელი?!.
თვალში ისე მიყურებ, თითქოს ამბობ: „ცხადია"
და სახეზეც თანხმობის ნიშანწყალი ჰხატია!..
მივხვდი, ახლა გავუგე შენი გულის ვარამებს!..
მეც თვით ხშირად ამ ფიქრით მწუხარებით ვალამე;
მეც მფენია სახეზე, ბედმა რაც სულ მოლია:
ჩვენი ქვეყნის სიტურფე, მისი მელანქოლია;
მაგრამ მაინც მტკიცედ ვარ აწმყო აღარ მადარდებს!..
ერთიც ვნახოთ,- ამ ქვეყნად კვლავ [illegible]ლისით გად[illegible]რდეს,-
მაშინ ჩვენი სიმღერა ქვეყანასაც ეყოფა,
მზე, ნისლების სამეფოს კვალად გამოეყოფა
და დადგება ნათელი იმდაგვარი ძალისა,
რომ მთლად ეყოს ქვეყანას დაულ[illegible]ელ ხალისად!..

**ვ ურდოელი**

# ფერეიდანის მიწაზე

ქართველ ერს ორი ათას წლოვანი ისტორია აქვს. ქრისტიანული სარწმუნოების და მამულისათვის თავგანწირვის მხურვალე გრძნობით ქართველი ხალხი დღე და ღამ იარაღით ხელში იდგა, სისხლს ღვრიდა, ებრძოდა ყოველმხრივ მოწოლილ მტერს. ქართულ მიწას უგემნია ყველა ჯურის დამპყრობელი. ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს, დიდებულ ტაძრებს, დიად კულტურას ცეცხლად მოსდებიან არაბნი, მონღოლნი, თურქნი, სპარსნი, ლეკნი, ხაზარნი. ბარბაროსმა ურდოებმა დაამხეს სომხეთი, გაანადგურეს ბუმბერაზი ბიზანტია, მახვილით მოიარეს რუსეთის ვრცელი ველები, დაარბიეს ევროპა,მაგრამ ისეთ პატარა ქვეყანას, როგორიც ჩვენი სამშობლოა, ვერ შეურყიეს კლდოვანი რწმენა, ვერ აღგავეს პირისაგან მიწისა, ვერ გასტეხეს მისი რაინდული სული.

მე-17-ე საუკუნე ყველაზე ბნელი და საშინელი ხანაა ჩვენი ხალხის ისტორიაში. მაჰმადიანი მეზობლები კვლავ აჩაღებენ განადგურების ხანძარს. თურქეთი შთანთქმას უპირებდა სამხრეთ-საქართველოსა და იმერეთს, სპარსეთი ლამობდა ქართლის ხელში ჩაგდებას. დადგა საქართველოს დღე განკითხვისა. მამა-პაპათა ძვლებით გაპოხიერებული და სისხლით შენარჩუნებული მამული მუსულმანთა ბუდეთ უნდა გადაქცეულიყო. აღიმართა მაჰმადის დროშა. მრავალრიცხოვანმა მტრებმა მომართეს მახვილი ქრისტიანობის ძირ-ბუდიანად ამოსაგდებად, რჯულის შესარყევად.

ამ ბარბაროსულ მოძრაობას სათავეში უდგება მრისხანე შაჰ-აბაზი. ქრისტიანობის დაუძინებელი მტერი.იგი ჰკრებს დიდძალ ლაშქარს და მოადგება ქართულ მამულს. თავზარდაცემული ქართველი ხალხი აღსდგა, ხმალ ამოწვდილი შეხვდა მტერს. გაჩაღდა თავგანწირული ბრძოლა, ველებზე სისხლის ტბა იდგა. ქართველები ზედ აკვდებოდნენ მიწას, იბრძოდენ არა მარტო კაცები, არამედ ქალებიც, სარწმუნოების დასაცავად ხმალ ამოღებული იბრძოდნენ მღვდლებიც. ონავარმა შაჰ-აბაზმა დაიპყრო კახეთი, გადასწვა იგი და მოსახლეობა აჰყარა.

პატრი ავითაბოლი გადმოგვცემს იმ საშინელებას, რომელსაც ქართველი ხალხის სისხლის მსმელი შაჰ-აბაზი სჩადიოდა. მან ერთიანად გადაჰბუგა ქალაქები და დაბები, ამოჟლიტა ხალხი ულმერთოდ, დაანგრია ტაძრები, წაბილწა დიდებული ჩუქურთმები, მხატვრობა. შაჰ-აბაზმა ესეც არ აკმარა საქართველოს მოსტაცა მას ძვირფასი განძნი, დასწვა ქართული წიგნები. ქრისტიანთა სისხლით გაძღა მაჰმადიანი სვავი.



ქეთევან დედოფალი

ქართველები იბრძოდნენ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. ბრძოლის ველზე ერთ ქართველზე ოცი ურჯულო მოდიოდა. მამულის შენარჩუნებისათვის ბრძოლას შაჰ-აბაზის წინააღმდეგ ომში 70 ათასმა ქართველმა შესწირა თავი. შაჰ-აბაზს სურდა ამოეწყვიტა ქართლი, მაგრამ აქ იგი დიდ წინააღმდეგობას შეხვდა და თბილისისაკენ იბრუნა პირი. გადაიარა რა კახეთის ველებზე, იგი შეიჭრა საინგილოში, აჰყარა ხალხი და მიჰყვა ქართველთა სოფლებით გადასახლებას სპარსეთში. ისტორიკოს მ. თამარაშვილის ცნობით შაჰ-აბაზს საქართველოდან გადაუსახლებია 80 ათასი კომლი, მათ ნაცვლად კი ჩამოუსახლებია სპარსნი და სომეხნი.

„ქართლის ცხოვრებაში“ ამ შავი დროს შესახებ ერთ ადგილას არის აღნიშნული: „სპართა შაჰინ-შაჰი მოვიდა ქართლი აჰყარა და სპარსეთს გადაასახლაო“;მეორე ადგილასნათქვამია: „შაჰ-აბაზი მოვიდა და ქართლიდამ 120 ათასი ქართველი გადაასახლა“. ამასვე ადასტურებენ ევროპიელი მოგზაურნიც დე-ლავალე, ჟან შარდენი და სხვ.

ქრისტიანობის წინააღმდეგ ბრძოლას, საქართველოს გამაჰმადიანების პოლიტიკას ერთგულად აგრძელებდა შაჰ-აბაზის მოადგილე ფეიქარ-ხანი. ამ უკანასკნელმა 30 ათასი ქართველი აბარგა მამულიდან, მათ ნაცვლად მორეკა სპარსნი და ლ ეკნი. დაუნდობლად სწყვეტდა მშობელ მიწას ქართველ ხალხს სულეიმხანიც, მისმა ძალმომრეობამ აიძულა 20 ათასი ქართველი გადახვეწილიყვნენ შორეულ სპარსეთის მიწაზე. დაუძლურებულ და ნაცარ-ტუტად ქცეულ საქართველოს თავს ესხმოდნენ ავაზაკი ლეკებიც. ისინი იქამდისაც კი მივიდნენ, რომ 1720 წელს შემოესივნენ ქართლს, აიძულეს ინგილოელნი მიეღოთ სუნის რჯული. რა თქმა უნდა ამ მხრივ ლეკებს წინ არ აღუდგებოდა სპარსეთი. პირიქით შაჰი მათ აქეზებდა რათა მეტად დაიმხოთ საქართველო, მოესპოთ ქრისტიანობა.

აუწერელია ის ტანჯვა, რომელსაც შაჰ-აბაზის ტყვე ქართველები განიცდიდნენ. სპარსეთისაკენ სოფლობით მიჰყავდათ სპარს ჯარისკაცებს ქართველი ხალხი.მათი ბარგი-ბარხანა ურმებით მიჰქონდათ, თვით ფეხით მიდიოდნენ. გზაში ისინი დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ. იტანდნენ სიმშილსა და ებრძოდნენ სიკვდილს. მირეკავდნენ ქართული მამულის შვილებს შორეულ ქვეყანაში, ცხელი ცრემლი სდიოდათ მათ თვალთაგან, ქალები ჰგოდებდნენ, გული უშფოთავდათ. ონავარი მტერი ასალმებდა მათ სამშობლო ქვეყანას, სტოვებდნენ მამა-პაპათა სახლ-,კარს ბაღებს, მთებს, ქართულ ჰაერს, წინაპართა დიდებულ საფლავებს... ისინი მიდიოდნენ თავდახრილნი და სტიროდნენ... დრო და დრო გაუსხლტებოდნენ ხელიდან ურჯულოთ. ქვითინით დაეცემოდნენ მამულის მიწაზე, ფრჩხილით მოფხოჭნიდნენ მას და დაასველებდნენ ცრემლით, ერთი მუჭა მიწა მიჰქონდათ ნუგეშად...

გაუთავებელი გზა სპობდა დაღონებულ ტყვეთ. ბევრი მათგანი გზაზე ეცემოდა, მათ უპატრონოდ სტოვებდნენ. სპარსელები დედას ძუძუდან აგლეჯდნენ ბავშვებს, ჰყრიდნენ შარა-გზაზე ნადირის შესაჭმელად. ჯარისკაცები დადიოდნენ მკვდართა გვამებზე, ძაღლი ხრავდა ქართველთა სხეულს. აშორებდნენ მამას შვილს, ცოლს-ქმარს, ისე რომ უკანასკნელი სიტყვის ნებასაც არ აძლევდნენ. უბედურნი გრძნობდნენ, რომ მიაღწევდნენ რა სპარსეთს, იქ ტანჯვა გაასკეცდებოდა.

სპარსეთის შაჰები განაგრძობდნენ საქართველოს ცეცხლითა და მახვილით გამაჰმადიანებას. თეირანისა და ისპაჰანის ბაზრები აივსო ქართველებით. ქართველნი პირუტყვზე უფრო იაფად იყიდებოდნენ, აძლევდნენ მათ მონებად შეძლებულ სპარსთა ოჯახებში. ქართველთა ტანჯვასა და ვაებას სპარსეთში, უყურებდნენ რომაელი პატრები; ერთმა მათგანმა პიეტრო დე-ლავალემ 1624 წელს რომის პაპს წერილიც კიმისწერა.*

ქეთევან დედოფალს მოსვენებას არ აძლევდა ტანჯული მამულის შვილების მწარე ხვედრი. მან შეწყალება თხოვა შაჰს, გაენთავისუფლებია ტყვეენილი ქართველნი. შაჰ-აბაზი ამან კიდევ უფრო გააავთრა, შეიპყრო დედოფალი და უბრძანა დაეგმო ქრისტიანობა. მხეცი შაჰი ფიქრობდა, რომ დედოფალს ხმლის ქვეშ აიძულებდა მიეღო მაჰმადის რჯული, ხოლო ეს იქნებოდა ქართველთათვის მაგალითი. ქართველი ქალი ქეთევანი მტკიცედ იდგა თავისი სარწმუნოების დასაცავად. შაჰის ჯალათების წინაშე მან ამაყად განაცხადა, რომ არ უარყოფდა თავის სჯულს. 1624 წელს შაჰის ბძრანებით ქ. შირაზში აწამესა და შემდეგ გახურებული შანთით დადაღეს დედოფლის უმანკო ფიქალი მკერდი.მეტაფრასის სიტყვით ქეთევანს **„დაჰგლიჯნეს მარწუხითა მიმართ ძუძუნი“, „განავლეს მკერდით ზურგამდე შამფური“, „გახურებული რკინისაგან „ხორცნი ისპობოდიან, სცვივოდიან“.** **)დასჯის წინ იგი ემუდარებოდა მხეცთ, რომ ქართველი ქალი არ დაესაჯათ შიშველი, სიკვდილის წინ მან ლექსად წარმოსთქვა „ანბანთ ქება.“

ქართველი ხალხი მტკიცედ იდგა თავისი სარწმუნოების სადარაჯოზე. მეფე სვიმონი ოდესღაც სწერდა რომის პაპს: **„ჩემს თავს გავსწირავ ერთიანად და აგრეთვე ჩემს ქორფა შვილებს, დავღვრი ჩემს სისხლს ვიდრე უკანასკნელს წვეთამდე,ვიდრე პირში სულიმიდგა ხელს არ ავიღებ ოსმალების წინააღმდეგ ომზქდო.“** ასე სწერდა მეფე, ასე ამბობდა თვითეული ქართველი, ეს იყო, რომ სულ არ აქრობდა ჩვენს მისუსტებულ ცხოვრებას, ეს რწმენა იყო ერთი მუჭა ხალხის გულში ახალ აზვირთებას რომ დაბადებდა სამშობლოს ხსნისათვის. მოიგონებთ მღელვარე სურათებს სარწმუნოების დაცვისათვის გადახდილ ბრძოლებსა და თქვენს წინ წამოიშლებიან ლუარსაბ მეფის ტრაღიკული ტანჯვანი.

შაჰ-აბაზი განჯას მოვიდა. თეიმურაზ მეფემ საშველად მოიწვია ქართლის მეფე ლუარსაბი, მათ პირობა შეჰკრეს შეერთებული ძალით ებრძოლათ მტრის წინააღმდეგ. მეფეებმა მალე დაინახეს, რომ შაჰ-აბაზს დიდძალი ლაშქარი ჰყავდა, შებმა შაჰ-აბაზთან შეუძლებელი იყო, ისინი იმერეთს შეეხიზნენ. იმერეთის მეფემ გიორგიმ შეიფარა გაჭირვებული მოძმენი. შაჰ-აბაზი შევიდა რა გორში მეფე გიორგის შეუთვალა, დაეთმო ქართლ-კახეთის მეფენი, მაგრამ მკაცრი უარი მიიღო.

შაჰმა მიმართა მუხანათობას. მოიხმო შადიმან ბარათაშვილი და შეჰფიცა: თუ ლუარსაბს მომგვრით, არარას ვავნებ, სამეფოს დაუბრუნებ და დავასაჩუქრებო. შაჰ-აბაზმა ლუარსაბისათვის საჩუქრად გაგზავნა მოჭედილი ხმალი და თან ლუარსაბის დის წერილი გაატანა, რომელშიაც ეწერა,,—ჩამოდი საშიში არაფერიაო.***

ლუარსაბმა მიიღო შაჰ-აბაზის მოგზავნილი. მოემზადა წამოსასვლელად. დიდებულები ურჩევდნენ მეფეს შეებრალებინა ხალხი, არ დაეობლებინა ისედაც ჯვარცმული მამული, მაგრამ მეფემ იცოდა, არ წასულიყო ძვირად დაუჯდებოდა, შაჰ-აბაზი შურს იძიებდა. შაჰმა მიიტყუა მეფე ლუარსაბი სანადიროდ, მერე წინადადება მისცა მიეღო მაჰმადიანობა. ლუარსაბი უარზე იდგა;

მან შაჰ-აბაზს ასეთი პასუხი მისცა: **„უკეთუ ყოფილი ქვეყანა ჩემად იყოს, არა თავს ვიდვა სიტყვათა და ქადაგებათა შენდა მორჩილებაი, არამედ მეუფისა და ღვთისა მიერ ჩემის ნათელ-მიღების და მის მიმართ დამიძს სასოება ჩემი და თვინიერ მისა სხვა ღმერთი არავინ ვიცი.“**

შაჰი განრისხდა,მეფეს ხელ-ფეხი შეუკრეს და აიძულეს მიეღო მაჰმადის სჯული. იგი სალ - კლდესავით იდგა. 1622 წელს 21 ივნისს შაჰის ჯალათებმა დაალრჩვეს მეფე. ასე დაიდგა წამებულის დიადი გვირგვინი ლუარსაბ მეფემ.

შორს, სადღაც სპარსეთის დაცემულ ველებზე მირეკეს მტრებმა მამულიდან მოწყვეტილი ქართველი ხალხი. ისინი ათეულის წლების მანძილზე მოსტიროდნენ მშობელ მიწას, იქაც იბრძოდნენ შეენარჩუნებიათ სჯული, იქაც განაგრძობდნენ თავდადებას..:

1871 წელს საქართველოში დაბრუნდა ერთი ქართველი - სპარსელი ათამ ონიკაშვილი; მან მრავალი შესანიშნავი და გულის ამაღულებული ამბები მოუთხრო ხალხს ქართველების სპარსეთში გადასახლების შესახებ. წინაპრები ეტყოდნენ თავის შვილებს, რომ მათი სამშობლო საქართველოა, რომ ცდილიყვნენ იქ დაბრუნებას. მოხუცები სალამოთი კერის პირას ჩამოჯდებოდნენ, მოიგონებდნენ მამულს და სტიროდნენ. ათამ ონიკაშვილმა ქართველ ხალხს მოაგონა შავბნელი დღეები, გაახსენა „შავი დრო“, ბევრი ქართველი ატირდა მისი საუბრით. ****

ისპაჰანიდან ჩრდილო - დასავლეთით ქ. შირაზის მახლობლად ფერეიდანის ხეობაში არის გაშენებული ქართული სოფლები. შედიხართ ამ სოფლებში და თქვენს ყურადღებას იპყრობს სახლები. ისინი არ ჰგვანან სპარსელთა სახლებს. მარტყოფი, აფუსი, აჩხა, თელავი; მუკუზანი, მელაანი, ზემო-აკურა.ქვემო-აკურა, მაჩხაანი—აი სახელები ამ სოფლებისა.გილანის ზღვის მახლობლადაც ყოფილან ქართული სოფლები: პატარძეული, ნორიო და სხვ. ალნიაშვილის გადმოცემით, რომელმაც სპარსეთში იმოგ-

(დასასრული მე-6 გვერდზე)



იქორთის საყდარი

*იხ. თამარაშვილის ისტორია.
**იხ. „საქართველოს სამოთხე“ გვ. 596,
***შაჰ-აბაზმა შეირთო ლუარსაბის და თინათინი.
****იხ. ზ. ჭიჭინაძე „ქართველები სპარსეთში“ 1907 წ. გვ. 20

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ილუსტრირებული მიმოხილვა



სანგრებში აღმოსავლეთის ფრონტზე. — გერმანელთა არტილერია ტუნისში. — გერმანელი გუშაგი ლადოგის ტბასთან.

# მოკლე ცნობები

▲ მუსოლინის თავმჯდომარეობით იტალიის მინისტრთა საბჭომ მიიღო 1943-44 წლების სახელმწიფო ბიუჯეტი.

▲ ეგვიპტეში გრძელდება დაპატიმრებანი. პოლიციამ ინგლისის მითითებათა საფუძველზე კვლავ დააპატიმრა 600 კაცი.

▲ თურქეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ სარაჯ-ოღლუმ ინგლისის პრესის კორესპონდენტებთან გამართულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ თურქეთი კვლავ განაგრძობს და დაიცავს თავის ნეიტრალიტეტს.

▲ ვიშის მთავრობამ საფრანგეთის ქვეშემრდომობა ჩამოართვა გენერლებს ნოგეზსა და ჟუენას.

▲ იტალიის გენერლები ამიკო, ვივალდა, ბარბო და შრეიბერი დაჯილდოებულნი არიან იტალიის უმაღლესი ჯილდოთი.

▲ იაპონიის სახალხო მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილებით, იაპონიის მნიშვნელოვანი მეტალურგიული საწარმოები იქნებიან სახელმწიფო კონტროლის ქვეშ.

▲ ვატიკანიდან იტყობინებიან, რომ ტურინის არქიეფისკოპმა პაპს წარუდგინა წერილობითი მოხსენება ტურინზე თავდასხმის შესახებ.

▲ ტუნისში 18-24 იანვრამდე ინგლისელებმა და ამერიკელებმა დაჰკარგეს 21 ტანკი, 70 ქვემეხი, 200 სატვირთო ავტო-მანქანა, დიდძალი რაოდენობის ტყვიამფრქვევები და სხვა სამხედრო საჭურველი.

▲ მილანიდან მიღებული ცნობებით ტუნისის ბეიმ ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეთაგან შეადგინა სახალხო ერთიანობის მთავრობა. სარგებლობს რა მოსახლეობის თვალში დიდი ნდობით, ახალ მთავრობას ყველა პირობა გააჩნია წარმატებით მართოს ქვეყანა ომის მეტად რთულ პირობებში. პრემიერ მინისტრია ტუნისის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი და ცნობილი კონომისტი შენიკი. შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნულია დოქტორ მატერლი, რომელიც კარგად იცნობს ტუნისის საშინაო პოლიტიკას.

## საჯარიმო ასეულები

ამ რამდენიმე ხნის წინად ფრონტზე აღმოჩენილი იქნა სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილის, გენერალ ჟუკოვის მიერ დამტკიცებული „დადგენილება საჯარიმო ასეულების შესახებ წითელ არმიაში“. მასში ნათქვამია: საჯარიმო ასეულების მიზანია მისცენ საშუალება იმ მებრძოლებსა და მეთაურებს, რომლებმაც დისციპლინალური დანაშაული ჩაიდინეს, რათა გამოისყიდონ იგი სამშობლოსათვის ვალის გაღებით ან და თავდადებულ ბრძოლით მტრის წინააღმდეგ ფრონტის ყველაზედ უფრო მძიმე უბნებზე.

საჯარიმო ასეულები, როგორც ეს დადგენილებაშია აღნიშნული, შესდგება მებრძოლებისა და უმცროსს მეთაურთაგან ლეგიონისადმი (ან დივიზიონისადმი) ბრძანებით 1-3 თვის ვადით. დადგენილება უფლებას აძლევს მეთაურს, გააგზავნოს მებრძოლი ან უმცროსი მეთაური საჯარიმო ასეულში სასამართლოსა და ყოველგვარი გამოძიების გარეშე.

ბოლშევიკი კომისრები და პოლიტრუკები ამით აღწევენ იმას, რომ ანგარიში გაუსწორონ უკმაყოფილო მებრძოლთ. „საჯარიმო ასეულის მეთაურსა და პოლიტ-შემადგენლობას აქვს უფლება მიიღოს დასჯის სასურველი ზომები—ადგილზე დახვრეტა კი სასამართლოს გარეშე“—ლაპარაკობს დადგენილების მე-13 მუხლი.

ასე სურთ ბოლშევიკებს ჩაჰკლან ის უკმაყოფილება, რომელიც საბჭოთა ჯარისკაცებში სუფევს. ამ „ღონისძიებებით“ მირეკავენ ისინი ხალხს ბრძოლის ველზე სისხლის დასაღვრელად.

## ფერეიდანის მიწაზე

(დასასრული)

ზაურა. ფერეიდანში სულ 26 სოფელია, აქედან 8 სომეხთა, რამდენიმე თურქთა, დანარჩენი კი ქართველთა.

სამშობლოდან გადახვეწილ ქართველებს, დაუკარგავთ რა მშობელი მიწა თავიანთი სოფლების სახელები მაინც არ გაუმეტებიათ. ფერეიდანის სოფლები ატარებენ იმ სახელებს, საიდანაც შაჰ-აბაზს ისინი წამოუყვანია ძალით.

ფერეიდანელ ქართველთა ცხოვრება მრავალმხრივაა შესანიშნავი. სამწუხაროდ ამის გარშემო ისტორიული მასალები ძლიერ ცოტა გვაქვს. ონიკაშვილის ნაამბობიდან ჩანს, რომ ქართველებს დიდხანს შეუნარჩუნებიათ თავისი ენა სარწმუნოება. ბერიკაცები და დედა-კაცები შვილებსა და შვილი შვილებს მოუთხრობდნენ ხოლმე საქართველოს შესახებ, მათ იცოდნენ, რომ ისინი აქ გადმოჰყარა მრისხანე შაჰ-აბაზმა, ამიტომ ამ მეფეს წყევლა-კრულვით მოიხსენიებენ. ფერეიდანელ ქართველთ გულში ჩარჩენოდათ ქართველური ნაპერწკალი. იგი ღვივდებოდა სამშობლოს ყოველ მოგონებაზე.

ერთი მოხუცი ბრმა ქართველი ავად გამხდარა. მას მეზობლები შემორტყმიან გარს და უთხოვნიათ რაიმე ესურვებია. „ნეტავი ახლა თვალი ამეხილოს და ისეთი კაცი მაჩვენა, რომელიც საქართველოს ამბებს მეტყვის, მანახვებს მას, სად ძევს იგი, რომელ ქვეყანაში“—ასე გულმხურვალედ ინატრა დაკარგული მამული სულთმობრძავმა, ღრმა მოხუცმა.

ერთ-ერთი სომეხი ვაჭრის ნაამბობიდან სჩანს, რომ ფერეიდანის ქართულ სოფლებში ოდესღაც უცხოვრია ალექსანდრე ბატონიშვილს. ამ ქართველ გმირზე სამშობლოდან მოწყვეტილ ხალხს მრავალი თქმულება და ლეგენდა შეუქმნია. სამწუხაროდ ეს ლეგენდებიც შეუსწავლელია დღესდღეობით.

ფერეიდანელ ქართველთა გამაჰმადიანება იწყება 1660 წლიდან. ქართველთა შორის ჩნდებიან ისლამის სასულიერო პირნი: ხოჯები, მოლები, ყადები. ქართველებს ყველა სოფლებში ჰყოლიათ ხოჯები, რომლებიც ქართველები ყოფილან და ხმარობდნენ ქართულ ანბანს. ქართული ანბანი ფერეიდანელ ქართველთ შეუნარჩუნებიათ მათ 1700 წლამდე. ქართულს ისინი სწავლობდნენ ხელთნაწერებით.

ქართველები დიდხანს ინახავდნენ თავიანთ ზნე-ჩვეულებებს. ხვნა, თესვა, მკა, ლეწვა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მათ ისევე ჰქონიათ, როგორც ეს საქართველოში იციან, დღესაც არის დარჩენილი ქართული სახელები იარაღებისა. ფერეიდანელ ხალხში მრავალი ლეგენდა და თქმულება ყოფილა გავრცელებული, ისინი გამოხატავდნენ წინაპართა ცხოვრებას, გადმოგვცემდნენ ალბად იმ ნაღველით სავსე ცხოვრებას, რომელიც აქაურმა ახალმა მკვიდრნმა განიცადეს.

სპარსეთი ცუდად ექცეოდა ქართველთ. მათგან მალი-მაგ გაჰყავდათ ჯარისკაცნი, ადებდნენ დიდ გადასახადს, ავიწროებდნენ სარწმუნოებრივად, სტანჯავდნენ ქალებს. ზეჩავი ქართველნი არა ერთხელ ამსდგარან მტარვალთა წინააღმდეგ.

შორს სპარსეთის მიწაში განისვენებენ ქართველთა ძვლები. ფერეიდანის მიწაზე დალია სული მრავალმა ქართველმა, რომლის გულშიც სიკვდილამდე შქეფდა მამულის სიყვარული. მოიგონებთ მათ ცხოვრებას, გაიხსენებთ ჟამთა სიავეს და ყელში გებჯინებათ ცრემლი; მე-17-ე საუკუნეს ქართველმახალხმა უწოდა „შავი დრო“. „ნუგზარ ერისთავის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო“—თქმულია ჩვენ წინაპართაგან და მართლაც ეს ხანა იყო საქართველოს ჯვარცმისა და აოხრების უსაშინელესი ხანა.

იმოდენი ტანჯვა, რაც ქართველმა ხალხმა „შავ-დროში“ განიცადა, არ განუცდია, ძველი აღმოსავლეთის თითქმის არც ერთ ერს. ისტორიამ იცის ჰაოსიანთა და ქალდეველთა დევნა, მაგრამ ისეთი შევიწროება და აოხრება, რაც მაჰმადიანმა სპარსეთმა და ოსმალეთმა მიაყენეს საქართველოს არც ერთ ქვეყანას არ უგემნია.

სჯულისათვის ათასგვარად წამებულმა ხალხმა, მაინც შეინარჩუნა თავისი მეობა. ჩვენს მამულს სპობდნენ, ის ისევ აღსდგებოდა, სასიკვდილოდ მიჰხუჭავდა თვალს რათა უფრო მეტი ძალით გაეხილა იგი. ათი სახელმწიფო ზედი-ზედ არბიოდა ჩვენს მიწას, მაგრამ ყველას გავუძელით. ქართველს უყვარდა და და უყვარს სამშობლო მიწა—ამ გრძნობამ გვიხსნა და შეგვინარჩუნა ჩვენ ერობა.

მტერმა, ცეცხლმა, აოხრებამ, შავ დროებმა ვერ შესცვალეს საქართველოს ანდამატი გული; იგი იყო და არის მებძოლი შავი ბედისა. ასე იბრძოლებს ქართველი ხალხი, ვიდრე მამული არ იქნება თავისუფალი.

ლეგ. ლ, ლინი,

პასუხისმგებელი რედაქტორი:
ლეგ. ასეულის მეთაური გ. მადაურიძე.
წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:
Georgische Zeitung, Berlin W 35, Am Karlsbad 28

ქართული სტამბა, ბერლინი.
Deutscher Verlag, Berlin.